

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-18

შპს „ერთედე“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის უწყისი - ფორმა N1

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018	12/31/2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	6,785,418	1,625,562	675,707
არამატერიალური აქტივი	1	25,421	34,390	34,492
		6,810,839	1,659,952	710,199
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	168,350	240,910	851,962
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	3,374,957	2,073,624	619,369
სასესხო მოთხოვნები	4	91,455		
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი	3	719,152		
მარაგები	5	343,006	53,942	12,363
სხვა მიმდინარე აქტივები	7	143,277	-	23,660
		4,840,197	2,368,476	1,507,354
მთლიანი აქტივები		11,651,036	4,028,428	2,217,553
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	409,891	101,591	101,591
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,897,618	2,174,045	607,719
გადაფასების რეზერვი		3,307,509	2,275,636	709,310
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	4,113,656	107,309	332,186
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10		331,143	
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი	6	243,255		-
		4,356,911	438,452	332,186
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1,000,000		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	2,889,545	1,217,254	1,121,157
საგადასახადო ვალდებულებები			42,186	
ვალდებულებების პერსონალის წინაშე	8	97,071		
სასესხო ვალდებულებები			54,900	54,900
		3,986,616	1,314,340	1,176,057
მთლიანი ვალდებულებები		8,343,527	1,752,792	1,508,243
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,651,036	4,028,428	2,217,553

ხელმოწერილი პირები:



ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

29 სექტემბერი, 2020 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის უწყისი - ფორმა N1

აქტივები	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018	12/31/2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	6,785,418	1,625,562	675,707
არამატერიალური აქტივი	1	25,421	34,390	34,492
		6,810,839	1,659,952	710,199
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	168,350	240,910	851,962
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3	3,374,957	2,073,624	619,369
სასესხო მოთხოვნები	4	91,455		
დარიცხული მისაღები შემოსავალი /ავანსი	3	719,152		
მარაგები	5	343,006	53,942	12,363
სხვა მიმდინარე აქტივები	7	143,277	-	23,660
		4,840,197	2,368,476	1,507,354
მთლიანი აქტივები		11,651,036	4,028,428	2,217,553
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	409,891	101,591	101,591
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,897,618	2,174,045	607,719
გადაფასების რეზერვი				
		3,307,509	2,275,636	709,310
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10	4,113,656	107,309	332,186
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10		331,143	
გადავადებული/გამოუმუშავებელი შემოსავალი	6	243,255		-
		4,356,911	438,452	332,186
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1,000,000		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	2,889,545	1,217,254	1,121,157
საგადასახადო ვალდებულებები			42,186	
ვალდებულებების პერსონალის წინაშე	8	97,071		
სასესხო ვალდებულებები			54,900	54,900
		3,986,616	1,314,340	1,176,057
მთლიანი ვალდებულებები		8,343,527	1,752,792	1,508,243
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,651,036	4,028,428	2,217,553

TRUE

TRUE

TRUE

_____ ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრაიშვილი - ბუღალტერი

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება - ზარალის ანგარიშგება - ფორმა N2

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	12	34,121,850	16,428,825
თვითღირებულება	13	(30,347,257)	(13,858,155)
საერთო მოგება		3,774,593	2,570,670
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14/1	(333,995)	(324,305)
ხელფასის ხარჯი	14/2	(1,333,810)	
მიწოდების დანახარჯები - სხვა საოპერაციო ხარჯი	14/2	(851,164)	
ცვეტა - ამორტიზაცია	4	(318,915)	(135,943)
საოპერაციო მოგება		936,709	2,110,422
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა სავალუტო ოპერაციებიდან:	15	103	3,168
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	16	8,625	2,536
საპროცენტო ხარჯი	16	(168,078)	
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(159,350)	5,704
სხვა შემოსავლები			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(53,786)	(28,606)
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		723,573	2,087,520
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		723,573	2,087,520

ხელმოწერილი პირები:



ლუბუმ ქართლოსიშვილი დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

29. სექტემბერი, 2020 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ
ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

მოგება - ზარალის ანგარიშგება - ფორმა N2

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	12	34,121,850	16,428,825
თვითღირებულება	13	(30,347,257)	(13,858,155)
საერთო მოგება		3,774,593	2,570,670
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14/1	(333,995)	(324,305)
ხელფასის ხარჯი	14/2	(1,333,810)	
მიწოდების დანახარჯები - სხვა საოპერაციო ხარჯი	14/2	(851,164)	
ცვტა - ამორტიზაცია	4	(318,915)	(135,943)
საოპერაციო მოგება		936,709	2,110,422
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა სავალუტო ოპერაციებიდან:	15	103	3,168
ფინანსური შემოსავალი - საპროცენტო	16	8,625	2,536
საპროცენტო ხარჯი	16	(168,078)	
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(159,350)	5,704
სხვა შემოსავლები			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(53,786)	(28,606)
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრამდე		723,573	2,087,520
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,			
გადასახადების გამოკლებით			-
მთლიანი სრული შემოსავალი		723,573	2,087,520

_____ ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2019	31/12/2018
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,380,860)	368,378
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	308,300	(1,085,798)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,000,000	106,368
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,380,860)	368,378
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	240,910	851,962
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	168,350	240,910

ხელმოწერი პირები:



ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელიშვილი - ფინანსური მენეჯერი

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2019	31/12/2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,380,860)	368,378
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	308,300	(1,085,798)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,000,000	106,368
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,380,860)	368,378
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	240,910	851,962
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	168,350	240,910

ფორმა N4
 კაპიტალში ცვლილებების ანალიზი

2018 წლის 31 დეკემბერი	101,591	2,174,045	2,275,636
წმინდა მოგება	-	723,573	723,573
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	723,573	723,573
დარიცხული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	308,300		308,300
2019 წლის 31 დეკემბერი	409,891	2,897,618	3,307,509

ხელმოწერი პირები:



ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

29 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-18 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილებების ანალიზი
ფორმა N4

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	101,591	2,174,045	2,275,636
წმინდა მოგება	-	723,573	723,573
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	723,573	723,573
დარიცხული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	308,300		308,300
2019 წლის 31 დეკემბერი	409,891	2,897,618	3,307,509

_____ ლუბუმ კართლოსიშვილი - დირექტორი

_____ ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

_____ დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

29 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ერ ტე დე „ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 2017 წლის 02 თებერვალს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, მის მფლობელებს წარმოადგენს ფიზიკური პირი ლუხუმ ქართლოსიშვილი, 01027005959 100% წილის მფლობელი.

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი - **ლუხუმ ქართლოსიშვილი, 01027005959**. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა, ასევე ასფალტ-ბეტონის ნარევის წარმოება, რისთვისაც კომპანია ფლობს პროექტ „წარმოე საქართველო“-ს თანადაფინანსებით შეძენილ MBA 1250 BENNINGHOVEN მარკის ასფალტის ქარხანას და მასთან დაკავშირებულ საწარმოო ბაზას, რომელიც მდებარეობს კასპის რაიონის სოფელ ალაიანში

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ნიაღვრის ქ., №4., ბინა №3

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	3.2095	3.0701

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	0%	2%	5%	25%	50%	50%

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	20
სატრანსპორტო საშუალებები / სპეც ტექნიკა	10
საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	5
სამშენებლო ხელსაწყო ინსტრუმენტი	3

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე, სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არასაფინანსო აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა, თუ ხელშეკრულება მოიცავს იჯარას, დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებაში, თითოეული კონტრაქტისთვის.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია ავანსი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკამყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს კონტრაქტზე გაწეული რეალური ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა: 1

ძირითადი საშუალებები

და არამატერიალური

აქტივები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კავშირგაბ მულობის მოწყობი ლობები	სხვა აქტივი	ხელსაწყო ინსტრუმენტი	სატრანსპორტ ო საშუალება	ნაგებობა	სულ მატერიალ ური აქტივები	ლიცენზ იები	სულ
31 დეკემბერი 2018	1,950,348	6,768	6,688	31,582	-	-	-	-	1,995,386	34,492	2,029,878
შემოსვლა გადაფასება	5,143,821	9,632	2,094		69,598	69,037	85,941	23,949	5,404,072	9,270	5,413,341
გასვლა				20,656					20,656		20,656
31 დეკემბერი 2019	7,094,169	16,400	8,782	10,926	69,598	69,037	85,941	23,949	7,378,802	43,762	7,422,563
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-						-	
31 დეკემბერი 2018	(360,743)	(2,755)	(3,182)	(3,144)					(369,824)	(103)	(369,926)
პერიოდის ცვეთა	(298,201)	(2,363)	(1,425)	(2,167)	(1,147)	(9,243)	(4,369)		(318,915)	(18,238)	(337,152)
გასვლა	95,355	-		-					95,355	-	95,355
31 დეკემბერი 2019	(563,589)	(5,118)	(4,607)	(5,311)	(1,147)	(9,243)	(4,369)	-	(593,384)	(18,340)	(611,724)
წმინდა საბალანსო ღირებულება			-	-	-	-					-
31 დეკემბერი 2018	1,589,605	4,013	3,506	28,438	-	-	-	-	1,625,562	34,389	1,659,951
31 დეკემბერი 2019	6,530,580	11,282	4,175	5,615	68,451	59,794	81,572	23,949	6,785,418	25,421	6,810,840

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს, მიმდინარე საბანკო ანაგარიშზე განთავსებულ თანხებს. უცხოურ ვალუტაში ფულის ნაშთი არ აქვს კომანძას.

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	168,350	240,910
თანხა სალაროში	-	
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	168,350	240,910

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	3,374,957	2,073,624
გაცემული ავანსები	719,152	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,094,109	2,073,624

4. სესხთან დაკავშირებული მოთხოვნები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სესხთან დაკავშირებული მოთხოვნები		
გაცემული სესხი შოს ლუქარი	87,000	0
დარიცხული საპროცენტო სარგებელი	4,455	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	91,455	0

5. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-19	31-დეკ-18
საქონელი ტექნიკის მარაგ ნაწილები	144,994	16,603
ინერტული მასალა - მზა პროდუქცია	115,801	26,187
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	82,211	11,153
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	343,006	53,943

2019 წლის განმავლობაში 30 347 256 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო ვალდებულებები	2,867,155	1,149,428
ვალდებულება ანგარიშვალდებული პირების მიმართ	22,390	67,826
სულ	2,889,545	1,217,254

· სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

7. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

	31-დეკ-19	31-დეკ-18
საშემოსავლო გადასახადები	72,738	104,032
მოგების გადასახადი		(2,694)
დღგ	(226,955)	(65,169)
ქონების გადასახადი	10,940	6,018
სულ	(143, 277)	42,186

2019 წლის საგადასახადო ზედმეტობა 143 277 ლარი ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სხვა მიმდინარე აქტივი "

- მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ე.წ „ესტონური მოდელით“. რის თანახმადაც მოგების გადასახადით დასაბეგვრ ბაზას წარმოადგენს არა მოგება, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გატანაბრებული განაცემი, ასევე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

8. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

	31-დეკ-19	31-დეკ-18
გასაცემი ხელფასი თანამშრომლების მიმართ	93,585	-
მომსახურების სახელფასო ანაზღაურება	3,486	
სულ	97,071	-

9. მიღებული სესხი მოკლევადიანი

	საწყისი თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სს თიბისი ბანკი # 3827104-1086349	28.12.2019	28.06.2020	ლარი	1,000,000	-
სულ				1,000,000	

>>>> მოკლევადიანი საბანკო სესხი არ არის უზრუნველყოფილი. და საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10%-ს

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

10. მიღებული სესხი გრძელვადიანი

ფინანსური იჯარა/ლიზინგი	საწყისი თარიღი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018
LA-73675 - სს თიბისი ლიზინგი	27-Dec-17	25-Dec-19	ლარი	-	31,150
LA-73676 - სს თიბისი ლიზინგი	27-Dec-17	25-Dec-19	ლარი	-	22,323
LA-73677 - სს თიბისი ლიზინგი	27-Dec-17	25-Dec-19	ლარი	-	44,715
LA-77050 - სს თიბისი ლიზინგი	30-May-18	24-May-20	ლარი	112,148	340,264
LA-82253 - სს თიბისი ლიზინგი	28-Feb-19	4-Mar-23	ლარი	9,643	-
LA-82254 - სს თიბისი ლიზინგი	28-Feb-19	4-Mar-23	ლარი	3,214	-
LA-82255 - სს თიბისი ლიზინგი	28-Feb-19	4-Mar-23	ლარი	3,214	-
LA-82257 - სს თიბისი ლიზინგი	28-Feb-19	4-Mar-23	ლარი	2,605,332	-
LA-82698 - სს თიბისი ლიზინგი	25-Mar-19	20-Mar-22	ლარი	199,601	-
LA-88598 - სს თიბისი ლიზინგი	26-Dec-19	20-Dec-21	ლარი	459,635	-
ვირტგენ საქართველო -82257 თანამონაწილეობა	28-Feb-19	4-Mar-23	ლარი	412,420	-
შპს ვირტგენ საქართველო - HAMM GRW280	12-Jul-19	31-Dec-20	ევრო	160,976	-
შპს ვირტგენ საქართველო - HAMM HD110	12-Jun-19	31-Dec-20	ევრო	147,474	-
სულ				4,113,656	438,452

>>>>> 31.12.2019 წლის მდგომარებით ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სესხი წარმოდგენილია ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისგან

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება წლების განმავლობაში (2018წ-2019წ) დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან და საწესდებო კაპიტალში დამფუძნებელი პირების მიერ თანხების შეემონატანიდან. 2019 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დამფუძნებლის მიერ კაპიტალის როგორც შემცირების, ასევე გაზრდის ოპერაციებს.. 2019 წლის ბოლოსთვის კაპიტალი გაზრდილია 308 300 ლარით

გაუნაწილებელი მოგების და საწესდებო კაპიტალის შესახებ ინფორმაცია ასევე წარმოდგენილია დანართი #4-ის მიხედვით (კაპიტალის მოძრაობა)

საწესდებო კაპიტალი	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
	ლარი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	409,891	101,591
სულ	409,891	101,591

2) ანგარიშგება კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ + შენიშვნები

- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება ფორმა N 2 წარმოდგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. მასში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით. საოპერაციო შემოსავლები და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით
- არაოპერაციო შემოსავლები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მოცემულია განცალკევებულად
- საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზა წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადაახადები და განაცემები, რომლებიც აგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადაახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადაახადის სხვაობა მსს ფასს-ის მიხედვით უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის ან გადავადებული გადაახადის სახით, მაგრამ მეორეს მხრივ ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავებისა და ხარჯების ღირებულების დროებითი სხვაობებით არამედ დაბეგვრის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან აღნიშნული გაურკვევლობა რამე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.
- აღნიშნულის გათვალისწინებით მსს ფასს-ი მე-3 განყოფილების (პ. 3.4 – 3.7) საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - სხვაობა საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადისა და საანგარიშო მოგების გადასახადს შორის არ აისახოს საგადასახადო აქტივის სახით

12. შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დამკვეთის მიერ (ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) გამოცხადებული ტენდერის პირობების თანახმად სამუშაოების შესრულება (საავტომობილო გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია), რომლის რეალიზაციის პერიოდში ითვლება შეესრულებულ სამუშაოზე დამკვეთთან წარდგენილი სამუშაოს ამსახველი ფორმა-2 ის და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენა და დამკვეთის მხარის მიერ დადასტურება, თანახმად მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა.

კომპანიის დამატებით საქმიანობას ასევე წარმოადგენს

- მოძრავი ტექნიკის იჯარა/სატრანსპორტო მომსახურება
- ლიცენზიების საფუძველზე სარგებლობაში არსებული კარიერების დამუშავება და ინერტული მასალის რეალიზაცია
- ასფალტ-ბეტონის წარმოება და რეალიზაცია
- საწვავის (ბიტუმი და დიზელი) საბითუმო რეალიზაცია

ამონაგები	2019 წ	2018 წ
სამშენებლო კონტრაქტების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი	27,697,055	13,135,582
მომსახურების გაწევა /იჯარა სატრანსპორტო მომსახურება	106,398	2,005,754
ნავთობპროდუქტების რეალიზაცია	1,372,700	-
ინერტ მასალის და ასფალტის რეალიზაცია	4,579,500	1,287,489
სხვა შემოსავალი	366,197	
სულ	34,121,850	16,428,825

13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სასაქონლო მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, ასევე შრომის ანაზღაურება, რომელიც განკუთვნილია გასაყიდი პროდუქციის შესაქმნელად (საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გზების რეაბილიტაცია/მშენებლობა) მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღიარდება, როგორც დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც ხარჯად ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოებზე გამოწერილი და დამკვეთთან წარდგენილი შესრულებული სამუშაოების ამსახველი ფორმა 2-ის მიხედვით,

საქონლის გაყიდვებთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მასალის და მომსახურების ხარჯი იანგარიშება მომსახურების გაწევაზე ფაქტიურად გახარჯული მასალის და მომსახურების მიხედვით

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2019
ძირითადი მასალების დანახარჯები (სამშენებლო მასალა)	24,673,591
საწვავი ს ხარჯი	2,858,024
ტექნიკის რემონტის და იჯარის ხარჯი	2,815,642
სულ	30,347,257

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ხელფასის ხარჯი	2019
ხელფასი პირდაპირი	1,000,358
ხელფასი ადმინისტრაციის	333,453
სულ	1,333,810
ადმინისტრაციული ხარჯები	2019
საიჯარო ქირა	42,404
საპენსიო შენატანი/ სოც დაზღვევა	29,171
ქონების გადასახადის ხარჯი	10,940
სამეურნეო და საოფისე ხარჯი	2,394
დაზღვევა	183,160
სანოტარო, საჯარო რეესტრის და სატენდერო ხარჯი	6,748
ბანკის საგარანტიო მოსახურების ხარჯი	22,849
კომუნიკაციის ხარჯი	1,355
საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება	34,974
სულ	333,995
სხვა საოპერაციო ხარჯები	2019
მივლინების ხარჯი	98,350
საიჯარო ქირა ობიექტებზე	60,103
ლიზინგთან დაკავშირებული სხვა ხარჯი	8,650
დამხმარე მასალა და მომსახურება	6,695
ტექნიკის რემონტი	568,778
აუდიტორული მომსახურება	30,000
საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება	78,589
სულ	851,165
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2,518,970

შპს „ერ ტე დე“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

15. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019 წ	2018 წ
საკუროს სხვაობა კონვერტაციიდან მოგება	396	-
საკუროს სხვაობა კონვერტაციიდან ზარალი	(293)	(3,168)
სულ	103	(3,168)

16. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2019 წ	2018 წ
სალიზინგო ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(121,395)	-
საბანკო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(46,683)	-
სულ ფინანსური დანახარჯები	(168,078)	-

<i>ფინანსური შემოსავალი</i>	2019 წ	2018 წ
საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	1,758	2,536
შპს ლუქარი"- სესხის საპროცენტო შემოსავალი	6,866	-
სულ ფინანსური შემოსავალი	8,625	2,536
ნეტო ფინანსური შემოსავალი	(159,453)	2,536

17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2019 წ	2018 წ
ჯარიმა ხელშეკრულების ვადის დარღვევის გამო	26,536	27,606
ქველმოქმედება	945	1,000
სხვა ხარჯი	26,305	-
სულ	53,786	28,606

3) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით
- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს
 - საოპერაციო საქმიანობიდან
 - საინვესტიციო საქმიანობიდან
 - საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია სხვაობა დამფუძნებლების მიერ კაპიტალშიშენატანსა და განატანს შორის
- ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზრაურება. კონკრეტულად აღნიშნულ ანგარიშგებაში არსებული მონაცემი გულისხმობს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში
- მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დაასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები

4) ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.
- კომპანიის კაპიტალში დამფუძნებლის ფულადი შემონატანების საფუძველზე კაპიტალის ზრდამ შეადგინა 308 300 ლარი

ხელმოწერილი პირები:

ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

3) ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის (ფულადი ნაკადების) შესახებ

- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N3 -ის მიხედვით
- ანგარიშგება ფულადი ნაკადები შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, და ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობის სახით სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს
 - საოპერაციო საქმიანობიდან
 - საინვესტიციო საქმიანობიდან
 - საფინანსო საქმიანობიდან
- მსს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, საბიუჯეტო გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები
- ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია სხვაობა დამფუძნებლების მიერ კაპიტალშიშენატანსა და განატანს შორის
- ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზრაურება. კონკრეტულად აღნიშნულ ანგარიშგებაში არსებული მონაცემი გულისხმობს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში
- მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები

4) ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

- ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული არრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამახურის მიერ დამტკიცებული ფორმა N4 -ის მიხედვით
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება.
- კომპანიის კაპიტალში დამფუძნებლის ფულადი შემონატანების საფუძველზე კაპიტალის ზრდამ შეადგინა 308 300 ლარი

ხელმოწერი პირები:



ლუბუმ ქართლოსიშვილი - დირექტორი

დარეჯან ქუბრიაშვილი - ბუღალტერი

ქეთევან გელეიშვილი - ფინანსური მენეჯერი

29 სექტემბერი, 2020 თბილისი, საქართველო